საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტის სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

ადგილი: საქართველოს უზენაესი სასამართლო, მე-4 სართული, გიორგი ბრწყინვალეს დარბაზი

თარიღი: 25 სექტემბერი, 2019 წელი

დრო: 18:30 სთ.

1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის შესაბამისად, საგანგებოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევა ადმინისტრაციული კომიტეტის სხდომისა და მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენციის ჩატარების უზრუნველსაყოფად.

2. ადმინისტრაციული კომიტეტის სხდომის ოქმის შემდგენი პირის განსაზღვრა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მიმდინარე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით (№3/5253-19) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრა.

4. მოსამართლეთა კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის სამდივნოს შემადგენლობის განსაზღვრა.

5. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრებისათვის ცნობის სახით ინფორმაციის მიწოდება „მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტის თაობაზე.

6. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენციის ჩატარების თარიღისა და ადგილის დადგენა.

7. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენციის დღის წესრიგის დამტკიცება.

8. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 3 (სამი) წევრის არჩევნების (ხელახალი არჩევნების), ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის არჩევნების (ხელახალი არჩევნების), საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 3 (სამი) წევრის არჩევნების (ხელახალი არჩევნების) საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების ნიმუშების დამტკიცება.

9. სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ უფლებამოსილების ფარგლებში მოსამართლეთა კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის საქმიანობის ორგანიზაციული-ტექნიკური და ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა.